

დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადების პროგრამების განზოგადება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე

¹ქეთევან ჭყუასელი, ²ეკატერინე გიგაშვილი

¹ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

²გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

საქართველოს კანონმდებლობით პედაგოგის პროფესია რეგულირებადი დარგია. სტატიაში განხილულია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომზადების პროგრამები. ნაშრომში აქცენტი კეთდება ერთი პროგრამის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის, სამოქალაქო განათლების, უცხო ენის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ფიზკულტურის მასწავლებლის მომზადების პრობლემებზე, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების რელევანტურობაზე.

საკვანძო სიტყვები: დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს განათლების სისტემაში დაიწყო სერიოზული რეფორმები. 2004 წელს საქართველოს კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ პედაგოგის პროფესია რეგულირებად დარგად გამოაცხადა. შესაბამისად, საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ, აისახა კონკრეტული მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიის მიმართ. კერძოდ,

- კანონმდებლობით განისაზღვრა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების წესი;
- დაევალა აკრედიტაციის სამსახურს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია;
- მასწავლებლის წოდების მისანიჭებლად უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის გავლის შემდეგ აუცილებელი გახდა ერთწლიანი მაძიებლობის ინსტიტუტის გავლა და შემდეგ, სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარება;
- განისაზღვრა მასწავლებელთა სერტიფიცირების ვადები და წესები;
- განისაზღვრა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების რეგულირების წესები;
- შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული და საგნობრივი სტანდარტები, მასწავლებელთა პორფესიული ეთიკის სტანდარტი.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მასწავლებელთა მომზადების საკითხებს შემდეგი წესით განმარტავს:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
2. საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის

მომზადების საგნობრივი პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (11.07.2009. №1385);

3. საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლება და გავლილი ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (11.07.2009. №1385).

4. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის ამ კანონის 21² მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ასევე გავლილი აქვს სპეციალური აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად. [1]

კანონი ასევე აზუსტებს მასწავლებლის სახეებს, კერძოდ, ამჯერად ჩვენთვის საინტერესო დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებელი ასე განიმარტება:

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული **საგანი ან საგნობრივი ჯგუფი დაწყებით** საფეხურზე;

ბ) საგნის მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საგანი საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე. [1]

მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის **დარგობრივი მახასიათებელი**, რომელიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალდაკვალ შეიქმნა, აკონკრეტებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, კერძოდ, განსაზღვრავს, რომ „დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 180 კრედიტი ეთმობა დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამაში კომბინირება შესაძლებელია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად“.

ახლა ვნახოთ, რომელ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებზეა საუბარი ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე. I-VI კლასების საათობრივ ბადეში. ეროვნული სასწავლო გეგმაში ფიქსირდება საგნები და საგნობრივი ჯგუფები: **ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ჩვენი საქართველო, ბუნებისმეტყველება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, უცხო ენა, მუსიკა, ცეკვა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება**. მაშასადამე, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურულად და შინაარსობრივად ისე უნდა იყოს აგებული, რომ უზრუნველყოს ყველა ამ საგნისა და საგნობრივი ჯგუფის სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ არც კანონში ზოგადი განათლების შესახებ და, შესაბამისად, არც დარგობრივ დოკუმენტში ზოგადი განათლების შესახებ, არაფერია ნათქვამი დაწყებითი საფეხურის მუსიკის, ცეკვის, სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და უცხო ენის მასწავლებლის მომზადებაზე. მაშასადამე, იგულისხმება, რომ ეს საგნები ერთმა მასწავლებელმა უნდა ასწავლოს, ან ამ საგნების მასწავლებელი უნდა მომზადდეს ამ საფეხურის პროგრამის ფარგლებში. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სერტიფიცირების დაწყებამდე, კერძოდ 2011 წლამდე, მოიაზრებოდა, რომ ყველა ეს საგანი და საგნობრივი ჯგუფი I-VI კლასების

დონეზე უნდა ესწავლებინა ერთ მასწავლებელს, რაც პრაქტიკულად შეუძლებლად გვესახებოდა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინიციატივით დაისვა საკითხი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისა I-IV კლასების მასწავლო მასალის მიხედვით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში. ამ ინიციატივის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა გარდამავალი დებულება, სადაც მითითებულია, რომ პირველ ეტაპზე დასაშვებია I-IV კლასების მასწავლებლის სერტიფიცირება საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში და I-VI კლასებში მასწავლებლის სერტიფიცირება ერთი რომელიმე საგნის ფარგლებში (მასწავლებლის სურვილის გათვალისწინებით). მიმდინარე წელს ჩატარდა კიდევ სასერტიფიკაციო გამოცდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის, ხოლო მომავალ წელს იგეგმება სასერტიფიკაციო გამოცდები დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის I-VI კლასების ერთ კონკრეტულ საგანში. ამასთან, მასწავლებელი საკუთარი სურვილით წყვეტს, რომელი საგნის, საგნების ან საგანთა ჯგუფის ჩაბარება სურს. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უმაღლესი მასწავლებლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები ისე უნდა იყოს აგებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მასწავლებლის მომზადება ზემოთ აღნიშნული რეგულაციების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა საქართველოს უმაღლეს მასწავლებელში არსებული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული პროგრამების განხილვა, პოზიტიური მომენტების განზოგადება და რეკომენდაციების შეუშავება, რათა მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით, საქართველოში შეიქმნას მრავალვარიანტული და მოქნილი პროგრამები, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეს, მომავალ მასწავლებელს, მისცემს საშუალებას გააკეთოს არჩევანი საკუთარი ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

განსახილველად წარმოდგენილი გვაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები. ბუნებრივია, ჩვენ არ შევხებით თითოეული პროგრამის კონცეპტუალურ ხედვასა და შინაარსს, მხოლოდ წარმოგიდგენთ პროგრამის მიზნიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე დასკვნებს.

ილიას უნივერსიტეტი

პროგრამის მიზანი

დაწყებითი სკოლის პედაგოგიკისა და სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მიზანია, მოამზადოს განათლების სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, რომელიც შეძლებს იმუშაოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან და, ამასთან, ასწავლოს დაწყებით საფეხურზე ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და დამატებით ერთი საგანი სკოლის მოსწავლეებს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით

სტუდენტმა უნდა შეისწავლოს

- ბაკალავრიატის საბაზისო მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- განათლების მიმართულების ყველა ძირითადი კურსი კოდით EDU-GEN-GEN - 36 კრედიტი
- სასწავლო კურსები კოდით EDU-ELTE - არანაკლებ 90 კრედიტი
- სასწავლო კურსები კოდით EDU-PRE - არანაკლებ 30 კრედიტისა
- ნებისმიერი კურსი კოდით EDU, მათ შორის, *ბაკალავრის სემინარი და საბაკალავრო ნაშრომი* - 12 კრედიტი.

- თანამედროვე აზროვნების შესავალი I, თანამედროვე აზროვნების შესავალი II - 12 კრედიტი, სულ – 240 კრედიტი

როგორც ვხედავთ, ამ პროგრამით სტუდენტს აქვს საშუალება მოიპოვოს როგორც დაწყებითი სკოლის მასწავლებლის, ისე, სურვილის მიხედვით, სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელის კვალიფიკაცია. ამავე დროს, ძირითად პროგრამასთან ინტეგრირებულია დამატებითი პროგრამა და ბაკალავრიატის საბაზისო კურსების მოდული 60 კრედიტის ოდენობით.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ბათუმი

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ერთდროულად მომზადდეს არა მარტო I-IV კლასების საგანთა ჯგუფის, არამედ I-VI კლასების საგნის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების, პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში მოსწავლეთათვის არა მარტო მაღალი ხარისხის ცოდნის გადაცემას, არამედ ცვალებადი პროფესიული გარემოს გაცნობიერებასა და თავის პროფესიულ საქმიანობაში გათვალისწინებას.

პროგრამის სტრუქტურა: 240 კრედიტი, მათ შორის 190 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო, 15 კრედიტი - არჩევითი კურსები, 25 კრედიტი - პედაგოგიური პრაქტიკა და 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომი

სავალდებულო სასწავლო კურსები (190 კრედიტის მოცულობით) სტუდენტს ამზადებს I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობისათვის.

არჩევითი 15 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს 15-კრედიტიანი მოდული V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, სახვითი ხელოვნების, მუსიკის ან ფიზიკური აღზრდის მასწავლებლობისათვის მოსამზადებლად, ან საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები;

პედაგოგიური პრაქტიკა მოიცავს 5-კრედიტიან დაკვირვების პრაქტიკას VI სემესტრში და 10-10 კრედიტიან აქტიურ პედაგოგიურ პრაქტიკას VII-VIII სემესტრებში, რომლის დროსაც სტუდენტი საცდელ გაკვეთილებს ატარებს I-IV კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში და V-VI კლასებში ერთ-ერთ საგანში (15 კრედიტიანი არჩევითი მოდულის არჩევის შემთხვევაში).

საბაკალავრო ნაშრომისათვის გათვალისწინებული 10 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომი და დაამუშაოს იგი ხელმძღვანელის დახმარებით (საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პირობები დადგენილია რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის #55 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-თ), ან აითვისოს სასწავლო კურსი „პროფესიული და სასწავლო გარემო“.

პროგრამის არსებითი დადებითი მხარეა სტრუქტურაში, არჩევით ბლოკებში მუსიკის, სპორტის, სახვითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადება, თუმცა დასაზუსტებელია საგანთა მიხედვით კლასების და კრედიტთა რაოდენობის განსაზღვრა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროგრამის მიზანი

საქართველოში მოქმედი განათლების კანონის შესაბამისად, დაწყებითი საფეხური განისაზღვრება I-VI კლასით. პროგრამის მიზანია ისეთი მასწავლებლის მომზადება, რომელსაც ექნება დაწყებითი განათლების, როგორც დარგის, და არა სხვადასხვა დისციპლინის ნაკრების ხედავ. კურსდამთავრებული ღრმად უნდა ფლობდეს თითოეულ დისციპლინას ცალ-ცალკე და უნდა შეეძლოს ამ ცოდნათა გაერთიანება საფეხურის მოთხოვნებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამავე დროს, ბუნებრივია, მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური დისციპლინების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი.

პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ასწავლოს საგანთა ჯგუფი I-IV კლასებში, ან ცალკეული საგანი I – VI კლასებში.

პროგრამის სტრუქტურა

ვინაიდან პედაგოგიური განათლება რეგულირებადი დარგია, ამიტომ აღნიშნული პროგრამა განისაზღვრება ძირითადი სპეციალობით 185 ECTS კრედიტის ოდენობით, საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი საგნებით 35 ECTS კრედიტის ოდენობით, პედაგოგიური პრაქტიკა- 20 ECTS კრედიტის ოდენობით. 185 კრედიტი საგანთა ბლოკების მიხედვით განაწილებულია შემდეგი სახით: მშობლიური ენისა და ლიტერატურის მოდული – 55 კრედიტი; მათემატიკის მოდული – 35 კრედიტი; ბუნებისმეტყველების მოდული – 15 კრედიტი; საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, საზოგადოებრივი მეცნიერებების მოდული – 30 კრედიტი; განათლების მეცნიერებების მოდული – 50 კრედიტი. ძირითადი სპეციალობით გათვალისწინებული საგნების არჩევა სტუდენტებისათვის სასურველია სწავლის პირველივე სემესტრიდან.

პროგრამის დადებით მომენტად გვესახება ის, რომ სტრუქტურის სავალდებულო საგნების გავლის შედეგად, სტუდენტს შეეძლება I-IV კლასებში საგანთა ჯგუფის და I-VI კლასში ერთი რომელიმე საგნის სწავლება. თუმცა არჩევითი საგნების ბლოკი პროგრამას მრავალფეროვნებას შემატებდა.

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი

პროგრამის მიზანი

ამზადებს I-VI კლასების საგნის და საგანთა ჯგუფების მასწავლებელს

პროგრამის სტრუქტურა

240 კრედიტი, მათგან, 190 კრედიტი სავალდებულო დისციპლინები, 30 კრედიტი უცხო ენა, 20 კრედიტი არჩევითი დისციპლინები

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში მზადდება მუსიკის და სახვითი ხელოვნების პედაგოგები. ამასთან მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს გაიაროს როგორც I-IV კლასების საგანთა ჯგუფების, ისე I-VI კლასების საგნის მასწავლებლის სერტიფიცირება

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის მიზანი

I-IV კლასების საგანთა ჯგუფის მასწავლებლის მომზადება

I-VI კლასების საგნის მასწავლებლის მომზადება

პროგრამის სტრუქტურა

240 კრედიტი, მათგან 200 კრედიტი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები –190კრედიტი სავალდებულო, 10 კრედიტი სპეციალობის არჩევითი, 40 კრედიტი საუნივერსიტეტო არჩევითი მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს გაიაროს როგორც I-IV კლასების საგანთა ჯგუფების, ისე I-VI კლასების საგნის მასწავლებლის სერტიფიცირება.

წარმოდგენილი პროგრამების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისეთი საგნები ან საგანთა ჯგუფები, როგორცაა ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, ყველა პროგრამის ფარგლებში ისწავლება ისეთი მოცულობით, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება ასწავლოს ეს სამი დისციპლინა I-IV კლასებში. რაც შეეხება იმავე დისციპლინების სწავლებას V-VI კლასებში, ეს პრობლემა სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვა დატვირთვითაა წარმოდგენილი. სრულიად არაორდინალური მდგომარეობაა გეოგრაფიის, ისტორიის, ჩვენი საქართველოს, სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების, მუსიკის, ცეკვის, სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების თვალსაზრისით სხვადასხვა უნივერსიტეტის პროგრამებში. მხოლოდ ბათუმის უნივერსიტეტს აქვს დათმობილი 15 არჩევითი კრედიტი ამ საგნებისათვის, რაც ნიშნავს, რომ ერთი მასწავლებელი, ცხადია, ყველა ამ საგანს ვერ ასწავლის. ამასთან, თუ შეიძლება დავუშვათ, რომ V-VI კლასებში ისტორია და გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება შესაძლებელია მომზადდეს 15 კრედიტის ფარგლებში, ძნელია იგივე აზრი გაიზიარო მუსიკის, ცეკვის, სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მიმართ. და რაც მთავარია, ამ საგნების მასწავლებლის მომზადება, სტუდენტის სპეციალური მიდრეკილებების გარეშე, ალბათ შეუძლებელია. ცალკე უნდა გამოიყოს უცხო ენის სწავლების საკითხი, ვინაიდან ცნობილია, რომ დაწყებით სკოლაში უცხო ენას ასწავლის უცხო ენის სპეციალისტი, რომელსაც არავითარი სპეციალური მომზადება დაწებითი სკოლის სწავლების მეთოდის მიმართულებით არ გაუვლია. ვფიქრობთ, ეს საკითხები უნდა დაისვას შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების მიმართ და პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და პროგრამის ავტორთა თანამონაწილეობით შეიქმნას პრაქტიკული რეკომენდაციები ამ საგანთა მასწავლებლების მომზადებისათვის. მით უფრო, რომ პედაგოგიური განათლება საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებად დარგადაა გამოცხადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგის მომზადების პროცესს სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ პროგრამის შემუშავების, ჩვენი აზრით, ისეთ მტკივნეულ საკითხზე, როგორცაა საგანმანათლებლო პროგრამის და, ასევე, სილაბუსის, სწავლის შედეგი.

2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რამაც განაპირობა საქართველოს უმაღლესი განათლების პროგრამების კონცეპტუალური მიახლოება ევროპული განათლების სივრცესთან. ბოლონიის, კერძოდ, თუნიზის მიდგომების მიხედვით, განათლების სფერო ორ მიმართულებად იქნა წარმოდგენილი:

- მასწავლებელთა განათლება
- განათლების მეცნიერებები

შესაბამისად, თუნიზის მიერ განისაზღვრა ეს მიმართულებები და გაიწერა შესაბამისი სპეციალისტების მომზადების საორიენტაციო წესი და სწავლის შედეგები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. უმაღლესი განათლების დისკრიპტორები თუნიზის პროცესების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სამი კომპეტენციით:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები;
- ზოგადი უნარები.

მათგან უკანასკნელი, ზოგადი უნარები, მოიცავდა შემდეგ უნარებს:

- კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები;
- საკომუნიკაციო უნარები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები;
- სოციალური უნარები;
- სისტემური უნარები.

ამ პროცესების პარალელურად 2000–2005 წწ. შეიქმნა ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები, ე.წ. *ევროპული ჩარჩო – საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის*, რომელიც მოეთხოვება „ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებას“ (*„ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებისათვის აუცილებელი საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო“*). აქვე შევჩერდეთ ტერმინ კომპეტენციაზე. **კომპეტენცია** – ლათ. *competentia* (ერთობლივად ვაღწევ, შევესაბამები) – ამა თუ იმ ან პირის სამოქმედო ან საგამგებლო წრე, უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა. **კომპეტენტობა** – რაიმე საქმის გაკეთების ან გადაწყვეტისათვის საჭირო ცოდნა. [4] ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს სამუშაო ჯგუფმა კომპეტენციის ცნებაში მოიაზრა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ერთიანობა: „სამუშაო ჯგუფმა ირჩია ტერმინი „კომპეტენცია“, რომელიც მოიცავს ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს და ტერმინი „საკვანძო კომპეტენცია“, რომელიც აღნიშნავს ყველასათვის საჭირო კომპეტენციებს“ [3] ერთი მხრივ, ბოლონიისა და, მეორე მხრივ, ევროპული ჩარჩოს მიხედვით, ასევე საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, 2011 წელს შეიქმნა საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩო, სადაც განისაზღვრა საქართველოში მოქმედ კვალიფიკაციათა აღმწერი. დოკუმენტში ნათქვამია: „კვალიფიკაციათა აღმწერი (სწავლის შედეგი) განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონეზე, რაც მოიცავს ექვს კატეგორიას: 1) ცოდნა და გაცნობიერება; 2) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; 3) დასკვნის უნარი; 4) კომუნიკაციის უნარი; 5) სწავლის უნარი; 6) ღირებულებები. როგორც ვხედავთ, საქართველოს კვალიფიკაციათა აღმწერი არ სარგებლობს ტერმინ კომპეტენციით და იყენებს სიტყვას „კატეგორია“, თუმცა ვერ ვიტყვით, ეს მიზანმიმართული ქმედებაა თუ უბრალო შემთხვევითობა.

ბუნებრივია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამა უნდა მოიცავდეს სწავლის შედეგს კვალიფიკაციაში წარმოდგენილი 6 კატეგორიის მიხედვით. ამასთან, პროგრამის თითოეული სილაბუსის შედეგიც უნდა მოიცავდეს წარმოდგენილ ექვს კატეგორიას. დგება საკითხი, ერთი პროგრამის ფარგლებში, როდესაც სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში ირიცხება ამა თუ იმ უნარის გარკვეული ათვლის წერტილით, რამდენად მისაღწევია პროგრამაში გაწერილი შედეგი ამ ექვსი კატეგორიის მიხედვით. შეიძლება დაუშვათ, რომ რომელიმე ერთი საგნის ფარგლებში სტუდენტს გამოვუმუშავოთ არა ექვსივე, არამედ რამდენიმე უნარი და საგანთა ჯამმა შეადგინოს სწავლის შედეგი ექვსივე კატეგორიის მიხედვით. მაგრამ, კვლავ დგება საკითხი, 5 კრედიტის, 125 საათის განმავლობაში, რომელთაგან საკონტაქტო 45–60 საათს შეადგენს, როგორ შეიძლება გამოვუმუშაოთ სტუდენტს დასკვნის უნარი, ან სწავლის უნარი, ან ღირებულებები და ა.შ. მით უფრო, რომ სტუდენტთა საბაზისო უნარები სხვადასხვაგვარია და, რბილად რომ ვთქვათ, ვერაფრით ვერ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილ უნარებს. ამასვე ადასტურებს საერთაშორისო კვლევების –PIRLS–ისა და TIMSS–ის მიხედვით საქართველოს მოსწავლეთა შედეგები. თსუ ამ პრობლემის წინაშე დგას. ალბათ, ასევე დგანან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც ამ პრობლემის წინაშე. ხომ არ გვაქვს საქმე კვლავ ერთ მოჩვენებითობასთან და ფასადურობასთან? ცხადია, ამ პრეზენტაციის ფარგლებში ჩვენ არ გვაქვს პრობლემის გადაწყვეტის გზებისა და რეკომენდაციების ჩამონათვალი, ვინაიდან ეს საკითხი ძალზე სერიოზულ კვლევას მოითხოვს. ამჯერად, ჩვენს მიზანს წარმოადგენს საკითხის

დასმა, რათა სხვადასხვა უნივერსიტეტის პროგრამების ავტორები დაფიქრდნენ ამ საკითხზე, შეისწავლონ საკითხი პრაქტიკული, რეალური შედეგების მიხედვით და შემდგომ ამისა, გაიმართოს შეხვედრები აზრთა გაზიარების თვალისაზრისით.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ქართულმა აკადემიურმა საზოგადოებამ, მიუხედავად უმაღლეს სკოლაში არსებული რთული რეალობისა, ღირსეულად გაართვა თავი დროის გამოწვევებს და მისთვის სრულიად უცხო პროცესი, პროგრამული აკრედიტაცია, წარმატებით გაიარა. ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მომავალში სასწავლო პროცესი კიდევ უფრო დაიხვეწება და რეალურად მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016წწ.;
3. საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის, ევროპული ჩარჩო, ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები, თბილისი 2006
4. იოსებ იმედაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტფილისი, 1928.

Article received: 2011-12-23